ოქმი:**ო03. 3723361001**

თარიღი:**27/12/2023**

ოქმი № 20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2023 წელი, 25 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის

თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ლ. ბიგვავა, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა, ტ. არუშიძე, გ. შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ გ. ჩაგანავას, სთხოვა ძირითადად ესაუბრა კომისიის მიერ დაფიქსირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, აღნიშნა 2024 წლის ბიუჯეტი დაიგეგმება 37 მილიონ 725 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4 მილიონი ლარით, აქედან საკუთარი შემოსავლები იქნება 37 მილიონ 250 ათასი ლარი. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია კომისიის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე, განაცხადა, რომ კორექტირებულ პროექტში ძირითადად გათვალისწინებულია ყველა შენიშვნა, ახლავს ქვეპროგრამები და ინდიკატორები, გასწორებულია ტექნიკური ხარვეზები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ კორექტირებული პროექტი თითქმის სრულად პასუხობს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებულ

მოთხოვნებს, გენდერული ასპექტები წარმოდგენილია გაუმჯობესებული სახით, ამდენად მიზანშეწონილია მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ უკეთესი და ნოვატორული იქნება თუ მომავალში პროექტი წარმოდგება ისეთ ფორმატში, სადაც პროგრამები აღწერილობით, შესრულების ინდიკატორებით და საბოლოო შედეგებით ერთად იქნება წარმოდგენილი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე